www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს საზღვაო ნავსადგურები და ტერმინალები

2023 წელი

01.03.2024
www.geostat.ge

01.03.2024

საზღვაო ნავსადგურებისა და ტერმინალების ძირითადი მაჩვენებლები

(2023 წელი)

2023 წელს საქართველოს ნავსადგურებსა და ტერმინალებში შემოვიდა 1 619[1] გემი, რომელთა 34.5 პროცენტი გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთის გადამზიდია, 29.3 პროცენტი - თხევადი ტვირთმზიდი, 27.2 პროცენტი - კონტეინერმზიდია, ხოლო დანარჩენი 9.0 პროცენტი ნაყარ ტვირთმზიდზე, ბუქსირებზე, სამგზავრო და სპეციალიზებულ გემებზე ნაწილდება.

2023 წელს წინა წელთან შედარებით, საქართველოს ნავსადგურებმა და ტერმინალებმა 47.7 პროცენტით მეტი კონტეინერმზიდი მიიღო, 37.9 პროცენტით ნაკლები - ნაყარი ტვირთმზიდი, 9.4 პროცენტით ნაკლები - გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთმზიდი, 5.7 პროცენტით ნაკლები - სპეციალიზებული და 3.1 პროცენტით ნაკლები - თხევადი ტვირთმზიდი.

საქართველოს ნავსადგურებსა და ტერმინალებში შემოსული გემების რაოდენობა ტიპების მიხედვით,

(ერთეული)



[1]წყარო: სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

01.03.2024

2023 წელს საქართველოს ნავსადგურებსა და ტერმინალებში შემოსული გემების 17.6 პროცენტი თურქეთის დროშის ქვეშ დაცურავდა, 15.6 პროცენტი - პანამის, 14.6 პროცენტი - ლიბერიის, 9.1 პროცენტი - მალტის, 4.6 პროცენტი - რუსეთის, 4.4 პროცენტი - ბულგარეთის დროშის ქვეშ, ხოლო 34.1 პროცენტი სხვა ქვეყნებზე ნაწილდებოდა.

საქართველოს ნავსადგურებსა და ტერმინალებში შემოსული გემების რაოდენობა რეგისტრაციის ქვეყნების (დროშა) მიხედვით,
(ერთეული)



01.03.2024

2023 წელს საქართველოს ნავსადგურები 11.1 ათას მგზავრს მოემსახურა, რაც 45.0 პროცენტით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. ამასთან, მგზავრთა ნაკადში შემოსული მგზავრების წილი მცირედით აღემატება გასული მგზავრების წილს და 50.8 პროცენტს შეადგენს.

მგზავრთა ნაკადი საქართველოს ნავსადგურებსა და ტერმინალებში,
(ათასი კაცი)



01.03.2024

2023 წელს საქართველოს ნავსადგურებმა და ტერმინალებმა 13 886.2 ათასი ტონა ტვირთი გადაამუშავა, რაც 7.5 პროცენტით ნაკლებია 2022 წლის მაჩვენებელზე. გადამუშავებული ტვირთის 43.3 პროცენტი გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთი იყო, 31.7 პროცენტი - თხევადი ტვირთი, 25.0 პროცენტი კი - ნაყარი ტვირთი.

საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში გადამუშავებული ტვირთის მოცულობა სახეების მიხედვით,
(ათასი ტონა)



საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge